Adjaristsqali Georgia LLC

Shuakhevi Hydropower Project

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს

10.08.2020

Ref: 188/02-20

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ შპს „აჭარისწყალი ჯორჯია" შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე ახორციელებს 35 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტს. პროექტის დანიშნულებაა სხალთა ჰესის ქვესადგურის შუახევი ჰესის ქვესადგურთან დაკავშირება.

როგორც თქვენთვის ცნობილია, პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურა ჩატარებულია 2017 წელში და გაცემული იყო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა 26 (20.04.2017 წელი). ეგხ-ის დეტალური პროექტის მომზადების პროცესში და შემდგომ სამშენებლო სამუშაოების საწყის ეტაპზე გამოვლენილი გარემოებებიდან გამომდინარე, პროექტში შეტანილი იქნა გარკვეული ცვლილებები. პროექტში შეტანილ ცვლილებებთან დაკავშირებით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარდგენილი იქნა სკრინინგის განაცხადი, რაზედაც გამოიცა მინისტრის 2019 წლის 15 აგვისტოს 2-781 ბრძანება „შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტებში, შპს „აჭარისწყალი ჯორჯია"-ს „სხალთა ჰესი"-ს ქვესადგურის „შუახევი ჰესი"-ს ქვესადგურთან დამაკავშირებელი 35 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ". აღნიშნული ბრძანების პირველი პუნქტის მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობის პროექტში შეტანილი ცვლილებები არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ელექტროგადამცემი ხაზის პროექტის განხორციელება დაიწყო 2019 წელს მიღებული პროექტის შესაბამისად და სამუშაოები დღეისათვის პრაქტიკულად დამთავრებულია. ხაზის მშენებლობის პროცესში მიღებული იქნა გადაწყვეტილება რამდენიმე საყრდენი ანძის ადგილმდებარეობის შეცვლის თაობაზე და შესაბამისად მოხდა საპროექტო დერეფნის ცვლილება.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 13567
"26" 08 2020
3/1CD
03

2019 წელში მიღებულ პროექტში შეტანილი დამატებითი ცვლილებები. მცირედით მაგრამ მაინც ცვლის ეგხ-ის მშენებლობის და ექსპლუატაციის პირობებს. რაც საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის მიხედვით ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას.

წარმოგიდგენთ პროექტის სხალთა ჰესის ქვესადგურის შუახევი ჰესის ქვესადგურთან დამაკავშირებელი 35 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის პროექტში შეტანილი ცვლილებების სკრინინგის ანგარიშს და გთხოვთ თქვენ გადაწყვეტილებას.

წერილს თან ერთვის.

- სხალთა ჰესის ქვესადგურის შუახევი ჰესის ქვესადგურთან დამაკავშირებელი 35 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის პროექტში შეტანილი ცვლილებების (ექსპლუატაციის პირობების შეცვლა) სკრინინგის ანგარიში - 1 ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
- სკრინინგის ანგარიშის ელექტრონული ვერსია და საპროექტო დერეფნის გეოგრაფიული კოორდინატები შეიფ ფაილების სახით 2017 წლის პროექტის, 2019 წლის საპროექტო ცვლილებების და 2020 წელში შეტანილი ცვლილებების მიხედვით.

პატივისცემით,

პრაშანტ ჯრომი

აჭარისწყალი ჯორჯია

უფლებამოსილი წარმომადგენელი